# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/212 " 20 " ნოემბერი 2020 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**„გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შ. კაკაურიძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის №1/105 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის №1/105 განკარგულებით, გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შაკლა კაკაურიძეს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 6 აგვისტოდან გაუგრძელდა მოსამართლის უფლებამოსილება მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე, მაგრამ არა უმეტეს 2020 წლის ივნისის მოსამართლეობის შესარჩევი კონკურსის შედეგების გამოცხადებისა. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 18 ნოემბრის კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, შალვა კაკაურიძე გამწესებულ იქნა გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შ. კაკაურიძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის №1/105 განკარგულება.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2020 წლის 1 დეკემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე